



USAID
ამერიკელი სალსობანს

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ
21 აპრილი, 2017

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქეთი რეხვიაშვილი, კომუნიკაციების მენეჯერი
ტელ: 032 222 7495 მობ: 599 095 111
ელფოსტა: krekhviashvili@zrda.ge

"აღმოაჩინეთ მეტი სამეგრელოში" - USAID-ის პროექტ Zrda-ს და სამეგრელო-ზემო სვანეთის

სამხარეო ადმინისტრაციის ერთობლივი ინიციატივა

ზუგდიდი - დღეს, 21 აპრილს, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტ Zrda -ს და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა საქართველოს ტურ-ოპერატორებთან, რომელიც სამეგრელოს რეგიონში ახალი ტურისტული მარშრუტების, დამატებით ვიზიტორთა მოზიდვასა და მდიდარი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ახალი ტურისტული ობიექტებისა და მარშრუტების შემუშავება-პოპულარიზაციის მიზნით, USAID-ის პროექტ Zrda-ს და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ეგიდით და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, 19-22 აპრილს რეგიონში ტარდება საინფორმაციო ტური საქართველოში რეგისტრირებულ და წარმატებულ ტუროპერატორთათვის, რათა გაიზარდოს სამეგრელოში არსებული ტურისტული ობიექტების ცნობადობა და ხელი შეეწყოს მეტი ვიზიტორ-დამსვენებლის მოზიდვას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული ადგილობრივი სუბიექტების შემოსავლების ზრდას და განვითარებას. ტური მოიცავს მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ზუგდიდისა და ფოთის მუნიციპალიტეტებს და ემსახურება აქ არსებული და ნაკლებად ცნობილი უნიკალური ბუნებისა და კულტურის ძეგლების, მეგრული სამხარელოსა და აგროტურიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას. დამატებით, შეიქმნება ტურისტული ობიექტების მონაცემთა ბაზა, რაც ხელს შეუწყობს შეთავაზებათა სპექტრის გაზრდას და ვიზიტორთა ნაკადის მატებას.

ტურის ფარგლებში, ტუროპერატორებმა მოინახულეს სალხინოს დადიანების საზაფხულო რეზიდენცია; ოცინდალეს მამათა მონასტერი, საიდანაც ხელისგულზე მოსჩანს კოლხეთის დაბლობი; განახლებულ მარტვილის კანიონი; ენგურის თაღოვანი კაშხალი; კოლხეთის ეროვნული პარკი; მარწყვის სათბურები; და დააგემოვნეს უგემრიელესი მეგრული სამხარელო.

რეგიონებში ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად, USAID-ის პროექტი Zrda ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავებას, ახალი ტურისტული ობიექტების და ღირშესანიშნაობების პოპულარიზაციასა და ტურიზმის სექტორში ჩართული მხარეების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას კომპლექსური



USAID
ამერიკელი ააღსოსბან

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



Chemonics
Development works here.

მიდგომის გამოყენებით. პროექტი ასევე ხელს შეუწყობს სამიზნე რეგიონებში ახალი სამოგზაურო პაკეტების პრომო მასალის საერთაშორისო გამოფენებზე გატანას. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მცირე და საშუალო საწარმოების და შიდა მეურნეობების შემოსავლების ზრდას და შესაბამისად რეგიონების მდგრად ეკონომიკური განვითარებას.

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგრადობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; www.zrda.ge; www.zrda.ge

USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში: უკანასკნელი 24 წლის განმავლობაში ამერიკმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>